საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი

(2023 წლის ივნისი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2023 წლის ივნისის თვეში.

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსი

2023 წლის 13 ივნისს საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსს დაემატა „VII[25] თავი (ადმინისტრაციული სამართალწარმოება მომსახურების მიმწოდებლისგან ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით).

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 030000000.05.001.020909

კანონი კანონი ამოქმედდება გამოქვეყნებიდან 190-ე დღეს.

საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ

2023 წლის 14 ივნისს ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცმეთა შესახებ. კანონის ძველი ვერსია ძალდაკარგულია 2024 წლის 1 მარტიდან.

ზემოაღნიშნული კანონის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 010100000.05.001.020936

კანონი, გარდა ამ კანონის პირველი-87-ე მუხლებისა, 88-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 89-ე მუხლისა, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე .

კანონის პირველი–მე-5 მუხლები, მე -6 მუხლის პირველი პუნქტის „ა “–„რ “ ქვეპუნქტები, მე-2 და მე-3 პუნქტები, მე-7–30-ე, 32-ე , 34-ე –79-ე, 81-ე და 83-ე –87-ე მუხლები, 88-ე მუხლის მე-2 და მე -3 პუნქტები და 89-ე მუხლი ამოქმედდება 2024 წლის 1 მარტიდან .

კანონის 31-ე , 33-ე მე-80 და 82-ე მუხლები ამოქმედდება 2024 წლის 1 ივნისიდან .

კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ს “ და „ტ “ ქვეპუნქტები ამოქმედდება 2025 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

2023 წლის 15 ივნისს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 802-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„1. მზღვეველი ვალდებულია დამზღვევს ჩააბაროს მატერიალურად ან ელექტრონულად ხელმოწერილი დოკუმენტი დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ (სადაზღვევო მოწმობა (პოლისი)). ამასთანავე, მზღვეველის მიერ გაცემული ელექტრონული დოკუმენტი დამოწმებული უნდა იყოს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით. დასაშვებია მზღვეველის მიერ დამზღვევისთვის სადაზღვევო მოწმობის (პოლისის) ელექტრონულად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაბარება.“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 040000000.05.001.020911

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“

2023 წლის 15 ივნისს სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„2. ერთი მოვალის მიმართ რამდენიმე სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებული ფულადი მოთხოვნების სხვადასხვა აღმასრულებლის მიერ აღსრულების შემთხვევაში მოვალის ერთი და იმავე ქონების აუქციონის წესით ან სხვაგვარ რეალიზაციას ახორციელებს ის აღმასრულებელი, რომელმაც ყველაზე ადრე დაარეგისტრირა ყადაღა იარაღსა და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სატრანსპორტო საშუალებასა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ორგანოში, სამოქალაქო საჰაერო ხომალდზე – სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში, ზემსუბუქ

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საჰაერო ხომალდზე – ზემსუბუქი საჰაერო ხომალდების რეესტრში, საზღვაო ხომალდზე – საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში, ფასიან ქაღალდზე – ფასიანი ქაღალდების რეესტრის მწარმოებელ შესაბამის პირთან, ხოლო სხვა ქონებაზე – საჯარო რეესტრში. აღსრულების რიგითობა განისაზღვრება ქონებაზე ყადაღის რეგისტრაციის დროის მიხედვით (საათობრივად და წუთობრივად).“

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 070000000.05.001.020946

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“

2023 წლის 16 ივნისს დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნა ცვლილება და მე-2 მუხლი (კანონში გამოყენებული ძირითადი ცნებები); მე-9 მუხლი (მზღვეველი) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 290000000.05.001.020919

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

2023 წლის 30 ივნისს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლი (სარჩელის მიღებაზე უარის თქმა); 187-ე მუხლი (განჩინება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ) და ა.შ. შემდეგ ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 060000000.05.001.020935

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №996

2023 წლის 5 ივნისს „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის №193 ბრძანებით ცვლილება შევიდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში და მე-40 მუხლის მე-2 პუნქტი (მოგების გადასახადის დეკლარაცია); დანართი № II-086 -ის I და III ნაწილები და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დანართის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017695

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ამავე ბრძანებაში 2023 წლის 7 ივნისს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №195 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნა ცვლილება და მე-9 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატა შემდეგი შინაარსის „ჟ“ ქვეპუნქტი:

„ჟ) პირისთვის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების შეზღუდვის (მათ შორის, გამოწერის/გაცემის შეჩერების) შესახებ.“

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017696

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ამავე ბრძანებაში 2023 წლის 7 ივნისს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №196 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება:

1. „ფიზიკური პირის ქონების გადასახადის წლიური დეკლარაციის“ (დანართი №V-03) „ნაწილი V“ და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.“

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017697

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ამავე ბრძანებაში 2023 წლის 9 ივნისს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №202 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნა ცვლილება და 112 მუხლს მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. დამქირავებელი საწარმო უფლებამოსილია „დაქირავებულ პირთა რეესტრში“ არ ასახოს იმ ფიზიკური პირის შესახებ ინფორმაცია, რომელიც რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში ან საგადასახადო აღრიცხვის ერთიან რეესტრში და მინიჭებული აქვს ამ პირის ხელმძღვანელობის/წარმომადგენლობის უფლებამოსილება ან/და წარმოადგენს აღნიშნული პირის მმართველობითი ორგანოს წევრს.“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017698

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №56/ნ

2023 წლის 12 ივნისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №44/ნ ბრძანებით „ერთიანი სახელმწიფო საგანმანათლებლო დოკუმენტებისა და სერტიფიკატების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 23 მაისის №56/ნ ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება და წინამდებარე ბრძანების დანართები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დანართის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 430210000.22.022.018299

ბრძანება ძალაშია 2023 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №258/№73

2023 წლის 22 ივნისს საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი №222-№38 ბრძანებით „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას სამგზავრო დოკუმენტებში შესაბამისი აღნიშვნების განხორციელებისა და

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №258/№73 ერთობლივ ბრძანებაში დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„5. ფოტოსურათის შემდგომი დამუშავება დასაშვებია სამართალდარღვევის პრევენციისა და მასზე რეაგირების, დანაშაულის პრევენციის, გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, სასჯელის აღსრულების, ასევე სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით.“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 010040000.22.033.017702

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ამავე ბრძანებაში 2023 წლის 26 ივნისს საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი №229/№39 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება არ ვრცელდება სტიქიური უბედურებების, ავარიების და კატასტროფების დროს საჭირო საქონლის, დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის, დიპლომატიური ფოსტისა და საკონსულო ვალიზას, „სახიფათო ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების შესახებ“ ევროპული შეთანხმების (ADR) 3.2. თავის A ცხრილით გათვალისწინებული საქონლის, არაგაბარიტული (მსხვილგაბარიტიანი) ტვირთის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) ოპერაციის ფარგლებში გადაადგილებული საქონლის გადამზიდავი სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალების, სამედიცინო ჟანგბადის ან მალფუჭებადი სითხის გადასაზიდად განკუთვნილი სპეციალიზებული ავტოსატრანსპორტო საშუალების (გარდა ტრანზიტულად გადაადგილებულისა) შემთხვევაში.“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 010040000.22.033.017704

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №48/ნ

2023 წლის 23 ივნისს დამტკიცდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოები:

ა) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბლანკი, ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად;

ბ) ოფიციალური კორესპონდენციის/წერილის ბლანკი, ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად.

ზემოაღნიშნული სიმბოლოების ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 430210000.22.022.018303

ბრძანება ამოქმედდა 2023 წლის 1 ივლისიდან.

სსიპ – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსის ბრძანება №25/ნ

2023 წლის 23 ივნისს დამტკიცდა თანდართული „სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ანაზღაურების გაცემისა და ამ მიზნით კომერციული ბანკის ან/და მიკრობანკის შერჩევის ინსტრუქცია“.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 220090000.66.078.016027

ბრძანება ამოქმედდა 2023 წლის პირველი ივლისიდან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №49/ნ

2023 წლის 23 ივნისს დამტკიცდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოები:

ა) ოფიციალური კორესპონდენციის/წერილის ბლანკი (ქართული ვერსია) ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად;

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ბ) ოფიციალური კორესპონდენციის/წერილის ბლანკი (ინგლისური ვერსია) ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად;

გ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბლანკი ამ ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად.

ზემოაღნიშნული სიმბოლოების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 430210000.22.022.018304

ბრძანება ამოქმედდა 2023 წლის1 ივლისიდან.

სსიპ – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსის ბრძანება №2/ნ

2023 წლის 23 ივნისს სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსის №24/ნ ბრძანებით „კომერციული ბანკების მიერ მოქმედი და პოტენციური კლიენტებისათვის დეპოზიტების დაზღვევის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსის 2017 წლის 28 დეკემბრის №2/ნ ბრძანებაში დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნა ცვლილება და ინსტრუქციის სათაური, რამდენიმე მუხლი და დანართები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დანართის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 220050000.66.078.016024

ბრძანება ამოქმედდა 2023 წლის პირველი ივლისიდან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №51/ნ

2023 წლის 26 ივნისს „სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 დეკემბრის №572 დადგენილებით დამტკიცდა „აღმასრულებელი ხელისუფლების, ზოგიერთი საჯარო დაწესებულების ემბლემის გამოსახვის წესი.

ზემოაღნიშნული წესის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 010020000.22.022.018306

ბრძანება ამოქმედდა 2023 წლის 1 ივლისიდან.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №99/04 ბრძანება

2023 წლის 27 ივნისს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №144/04 ბრძანებით „საგადახდო მომსახურების შესახებ ანგარიშგების ფორმებისა და მისი შევსების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 4 ივლისის №99/04 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება და

1. მე-2 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ო) რეზიდენტი პროვაიდერი – ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული ბანკი, ეროვნული ბანკში რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, ასევე ეროვნულ ბანკში რეგისტრირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, თუ ის ახორციელებს საგადახდო მომსახურებას;“;

ბ) „პ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის „ჟ“ ქვეპუნქტი:

„ჟ) ბანკი - კომერციული ბანკი და მიკრო ბანკი.“.

2. მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„5. ყოველი თვის 5 და 15 რიცხვამდე წარსადგენი ანგარიშგების შევსებისას ახალი ვალუტის გამოყენების შემთხვევაში, პროვაიდერი ვალდებულია 5 კალენდარული დღით ადრე დაუკავშირდეს საქართველოს ეროვნული ბანკის საგადახდო სისტემების დეპარტამენტის პასუხისმგებელ ზედამხედველს და გამოაგზავნოს შეტყობინება ელექტრონულ ფოსტაზე psps@nbg.gov.ge.“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.18.011.016723

ბრძანება ამოქმედდა 2023 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №287/04

2023 წლის 27 ივნისს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №150/04 ბრძანებით „საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 28 დეკემბრის №287/04 ბრძანებაში დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნა ცვლილება და მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი (ლიკვიდაციის

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

პროცესის თავისებურებები); მე-3 მუხლი (ლიკვიდიტორის უფლებები) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.18.011.016729

ბრძანება ამოქმედდა 2023 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №33/04

2023 წლის 27 ივნისს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №148/04 ბრძანებით „საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ სათამაშო ბიზნესის განმახორციელებელ კომპანიებთან ოპერაციების შეზღუდვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 31 მარტის №33/04 ბრძანების დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„1. საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ სათამაშო ბიზნესის განმახორციელებელ კომპანიებთან ოპერაციების შეზღუდვის წესი (შემდგომში – წესი) ვრცელდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ კომერციულ ბანკებზე და მიკრობანკებზე, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებულ საგადახდო მომსახურების პროვაიდერებზე და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე (შემდგომში – „პროვაიდერი“).“.

2. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„2. პროვაიდერი (ექვაირერი/სუბ-ექვაირერი) უფლებამოსილია ექვაირინგის მომსახურება გაუწიოს სათამაშო ბიზნესის განმახორციელებელ უცხოურ კომპანიას, თუ პროვაიდერი (ექვაირერი/სუბ-ექვაირერი) უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკების და მიკრობანკების, რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გამოშვებული საბარათე ინსტრუმენტებით ამ სათამაშო ბიზნესის განმახორციელებელი უცხოური კომპანიების სასარგებლოდ გადახდის ოპერაციების განხორციელების შეზღუდვას.“.

3. მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

„ა) SWIFT-ის საშუალებით გადარიცხვების განხორციელების შემთხვევაში: მიმღების დასახელება, მიმღების ანგარიშის ნომერი, მიმღების მომსახურე კომერციული ბანკის/მიკრობანკის დასახელება და BIC;“.

ზემოაღნიშნული წესის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 220010000.18.011.016727

ბრძანება ამოქმედდა 2023 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №241

2023 წლის 12 ივნისს საქართველოს მთავრობის №221 დადგენილებით „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ მუხლი 10 (მასწავლებლის პრაქტიკული ნაწილის შეფასების შესახებ წინადადების წარდგენა) და მუხლი 41 (არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების პრაქტიკოს მასწავლებელთა კარიერული წინსვლის პირობები) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული სქემის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 430050000.10.003.024054

დადგენილება ამოქმედდა 2023 წლის 15 ივნისიდან.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge